



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 17
2020 წლის 05 მარტი
ქ. თბილისი

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გამოცხადების და
კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N274584; 05.03.2020) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2020 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის პირველ ეტაპზე წარსადგენი განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განაცხადის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს კონკურსის პირველ ეტაპზე წარსადგენი საკონკურსო ნამუშევრების კვლევის გეგმა/პირველადი იდეის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსის მეორე ეტაპზე წარსადგენი პროექტის აღწერილობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს კონკურსის პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს კონკურსის მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმები ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებები და ქვემიმართულებები ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;

შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

----- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:

1. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მ/შ


----- /ლელა ლუდუშაური/

3. გენერალური დირექტორის მოადგილე

----- /ჯაბა სამუშია/

10. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
11. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
12. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

ზვიად გაბისონია

A handwritten signature in blue ink, consisting of a stylized initial 'ზ' followed by a long horizontal stroke that loops back under the initial.